ინფორმაცია

სწავლა სწავლების პირობების შესახებ სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესში“

პირველ კლასში ჩარიცხვის პირობები 2026-2027 სასწავლო წლისათვის

- **სწავლის საფასური** - წელიწადში 7 000 ლარი (ტრანსპორტირების ხარჯების გარეშე). აღნიშნულ გადასახადს ემატება სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გამოყოფილი ვაუჩერის თანხა წელიწადში 300 ლარის ოდენობით.
- **სწავლის საფასურის გადახდის წესი:** სწავლის საფასურის გადახდა ყველა კლასში უნდა მოხდეს წელიწადში ორჯერ: 1-15 სექტემბერი, წლიური სწავლის საფასურის ნახევარი 3 500 ლარი და 15-30 იანვარი, წლიური სწავლის საფასურის ნახევარი 3 500 ლარი. პირველ კლასში ჩარიცხვის დროს სწავლის საფასურის გადახდა მოხდება ორჯერადად, პირველად საბუთების წარმოდგენის და ხელშეკრულების გაფორმების დროს (3 500 ლარი), მეორედ - 15-30 იანვარს (3 500 ლარი).
  მომავალში გადასახადის ოდენობის ცვლილება არ მოხდება, მხოლოდ აისახება ლარის ინფლაცია.
- **მოსწავლეთა რაოდენობა კლასში:** 20 მოსწავლე (+/- 1-2 მოსწავლე).
  <u>პირველი კლასიდან</u> ჯგუფი იყოფა ინგლისურსა და რუსულში
  <u>მეხუთე კლასიდან</u> ჯგუფი იყოფა ინგლისურში, რუსულსა და მათემატიკაში.
  <u>მეშვიდე კლასიდან</u> ჯგუფი იყოფა ყველა საგანში (ჯგუფში 12-14 მოსწავლე).
- **სწავლების სისტემა:** სწავლება მიმდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად - ისწავლება ყველა სავალდებულო საგანი. ამასთან დადგენილი დისციპლინების გარდა, მოსწავლეები დამატებით სწავლობენ:

საგაკვეთილო დროის განმავლობაში

1.	ინგლისური ენა - ზეპირმეტყველების კურსი „ვისაუბროთ ინგლისურად“	V-VI კლასები
2.	ინგლისური ენის გაძლიერებული კურსი	VII-IX კლასები
3.	რუსული ენა	I-IV კლასები
4.	მათემატიკის გაძლიერებული კურსი	VII-XII მათემატიკური კლასები
5.	ფიზიკის გაძლიერებული კურსი	VII-XI მათემატიკური კლასები
6.	ინფორმაციული და გამოთვლითი ტექნიკის საფუძვლები	VII-VIII მათემატიკური კლასები
7.	მათემატიკური ლოგიკა	IV კლასი
8.	ჭადრაკი	I-III კლასები
9.	ცურვა	I-XII კლასები
10.	ქართული ცეკვა	I-III კლასები

საგაკვეთილო დროის გარეთ სკოლაში მუშაობს საგნობრივი ფასიანი წრეები და კლუბები ყველა საგანში. (წრეებში და კლუბებში ჩართული მოსწავლეები სკოლიდან მიყავთ მშობლებს)

- **სწავლის დრო:**
  - I-VI კლასის მოსწავლეები სკოლაში იმყოფებიან 9^{30}-16^{40} საათამდე. 14^{50}-16^{40} საათამდე მოსწავლეები მუშაობენ საშინაო დავალებებზე საგნის მასწავლებლის მეთვალყურეობით.
  - VII-XII კლასის მოსწავლეები სკოლაში იმყოფებიან 9^{30}-14^{50} საათამდე.
- **მოსწავლეთა კვება:** I-VI კლასის მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან ორჯერადი კვებით - ლანჩი და სადილი.

- **თავისუფალი გაკვეთილი:** I-VI კლასის მოსწავლეებს, იმის გამო, რომ სკოლაში არიან 9^{30}-16^{40} საათამდე, სისტემატიურად უტარდებათ, სპეციალურად მათთვის მოწყობილ ტერიტორიაზე, ღია სივრცეში, თავისუფალი გაკვეთილები.

- **ტრანსპორტით მომსახურება:** მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურებას ახორციელებს კომპანია შპს „სოლა“. ტრანსპორტით მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით დარეკეთ შემდეგ ტელეფონის ნომერზე: 571 88 88 24

  პირველ კლასში განცხადების წარდგენისას შეგიძლიათ მოითხოვოთ თქვენი შვილის ჩარიცხვა თქვენთვის სასურველ პედაგოგთან. შესაძლებლობის შემთხვევაში სკოლა დააკმაყოფილებს თქვენს სურვილს.

შენიშვნა: განცხადებების მიღება დაიწყება 5 იანვრიდან.

პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვისთვის

საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი

1. დაბადების მოწმობის ასლი ნოტარიულად დამოწმებული;
2. ჯანმრთელობის ფორმა (აცრები);
3. მშობელთა პირადობის მოწმობის ასლები;
4. 1 ფოტო 3 X 4;
5. პირველადი შემოსატანი თანხა 3 500 ლარი (5 თვის), შემდეგში გადახდა გაგრძელდება ხელშეკრულების მიხედვით.

სკოლა-ლიცეუმ „მწიგნობართუხუცესის“ საკონტაქტო ტელეფონები:

599 41 55 00 / 599 50 29 30

www.muschool.edu.ge

e-mail: g.chkondideli@yahoo.com

შენიშვნა: ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოთ განცხადების დაწერიდან ორი კვირის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება განცხადების ანულირება.

ბანკის რეკვიზიტები:	სს „თიბისი ბანკი“ მარჯანიშვილის ფილიალი ბანკის კოდი (მფო) TBCBGE22 მიმღები: შპს თბილისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა-ლიცეუმი „მწიგნობართუხუცესი“ ს/კ 211360141 ა/ა GE48TB1170436080100001 მის: თბილისი, ლეო კვაჭაძის ქუჩა № 12

მიუთითეთ მოსწავლის გვარი, სახელი, კლასი და თვე.